საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1282 2016 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შესყიდვის სპეციალური წესების გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ „პროექტის - „ხულო-ზარზმის გზის რეაბილიტაცია (ლოტი 1: ხულო-გოდერძის მონაკვეთი)“ განხორციელების დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის №963 განკარგულების თანახმად, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, სასესხო ხელშეკრულების ტექსტის მიღების მიზნით.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მიეცეს თანხმობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასესხო ხელშეკრულების

ფარგლებში შესყიდვების განხორციელებისას გამოიყენოს არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის შესყიდვების პროცედურები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**